

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა

ოქთი №21

10 აგვისტო, 2017 წელი

ქ. ახმეტა

თავმჯდომარეობდა:

თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდა:

თ.წითელაური, ზ.გარსევანიძე, ნ.აბალოიძე
გ.ქიტესაშვილი, ი.უჯირაული, თ.ბოდაველი
ბ.ჭიჭიკლიშვილი, რ.ბალაკაშვილი, ზ.ქინქლაძე,
ა.შათირიშვილი, ა.მექევრიშვილი, გ.უძილაური,
მ.ალხანაშვილი, გ.შორთაშვილი, ნ.ღუბიანური,
ა.ნახუცრიშვილი, დ.ძებისაშვილი, გ.ჯუგაშვილი

სხდომა გაიხსნა 11^თ სათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო
დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის
დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - თ.ყეინიშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - ლ.შეთევაური/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს გააცნო პროექტი ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის
ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ:

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტით საშემოსავლო
და ხარჯვით ნაწილში ზრდა გათვალისწინებულია 2,0 ათ. ლარით (მშენებლობის ნებართვის
მოსაკრებელი). დანარჩენი ცვლილება ეხება ბიუჯეტის არსებული პარამეტრების შიდა
ცვლილებებს.

მუნიციპალიტეტის საკრებულო

ზრდა (+)

- ტრანსპორტის მოვლა, შენახვა, ექსპლუატაცია (საწვავის შემენა) +2.5 ათ. ლარი.
- სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტენი) +2,0 ათ. ლარი.

კლება (-)

- მივლინების ხარჯები - 2.0 ათ. ლარი.
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 0.5 ათ. ლარი.
- ხელფასის ფონდი -2,0 ათ. ლარი

გამგეობა

ზრდა (+)

- შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება +88.0 ათ. ლარი
- ტრანსპორტის მოვლა, შენახვა, ექსპლუატაცია (საწვავის შემენა) +7.7 ათ. ლარი.
- წარმომადგენლობითი ხარჯი +14.0 ათ. ლარი.
- სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტენი) +2,0 ათ. ლარი.

კლება (-)

-ხელფასის ფონდი -90.0 ათ. ლარი.

სოციალური დაცვა

ხანძრით, მიწისმვრით და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ პირთა
სოციალური დაცვა

ზრდა (+)

-სხვა ხარჯები +18,3 ათ. ლარი.

კლება (-)

-სუბსიდია -18,3 ათ. ლარი.

კლება (-)

ავიარეისები -22.0 ათ. ლარი

ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი

ზრდა (+)

-სუბსიდია (ბიულეტენი) +0.8 ათ. ლარი.

ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის აღმინისტრაცია

ზრდა (+)

-სუბსიდია (სასწრაფოს საწვავისთვის) +2,0 ათ. ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას 15 - მომხრე;

2 - წინააღმდეგი,

2 - კენჭისყრაში

მონაწილეობა არ მიიღო;

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №21 - „ახმეტის
მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინდეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის
დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი სხდომის დამსწრე წევრებს: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №341 დადგენილების შესაბამისად, შემუშავდა ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო სტრატეგიული გეგმა, სადაც გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის კვლევა და ანალიზი და 2017-2018წ.წ. განსახორციელებელი ლონისძიებები.

სახომის თავმჯდომარებ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: 16 - მომხრე:

3 - კენჭისხურაში

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №46 - ახმეტის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განვარგვისას საიჯარო ქირის საფასურის
განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს: საკითხი ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ხორხელში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222, ფართობი - 96 144 ვვ.მ) სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.12.32.222, ფართობი - 96 144 ვვ.მ) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვას. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში, წლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - 1916.0 ლარით.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გოჩა ქიტესაშვილმა საკრებულოს გააცნო კომისიის მუშაობის შედეგი. აღნიშნა, რომ კომისიამ ადგილზე შეისწავლა საკრებულოს ფურცელი ფურცელი არის ქვიანი, ეკალ-ბარდით სავსე, გამოუყენებელი. გამოიკითხეს საკითხი. აღნიშნული ფურცელი არის ქვიანი, ეკალ-ბარდით სავსე, გამოუყენებელი. გამოიკითხეს მოსახლეობის აზრი, შეაგროვეს ხელმოწერები. სოფლის მაცხოვრებლები თანახმანი არიან ფართის გადაცემაზე.

სხვომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას 14 - მომხრე;

2 - የኩንታዬልምዶች

3 - ՀԱՅՆԻ ԽՈՏՍԿԱՑՈ

մռնաբնութեա առ մոօլո.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №47 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ პკითხა დამსწრე წევრებს: ზომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12¹⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყეინიშვილი